პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
22 იანვარი
№ 17 (17662)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ლენინით გულში



ერო ყველაზე მკაფიოდ ადამიანებში მათი საქმეებითა და საქციელით აისახება. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ციმბირის მენავთობეებისა და ატომმანქანის მშენებლების, ზაპოროჟიელი მეტალურგებისა და უზბეკეთის მეგობეების, ივანოვოელი ფეიქრებისა და ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ამწყობების, კოსმოსის პირველმკვალადებისა და მოზარდი თაობის აღმზრდელების, ყველა იმათი მიღწევებით, ვინც უზრუნველყოფს საბჭოთა ქვეყნის წინსვლას სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გზით. მათი ცხოვრებისა და შრომის მიხედვით იმსჯელებენ შთამომავალნი დღევანდელ სინამდვილეზე.

ამ სინამდვილის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მუდამ იქნება ის მაღალი გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის მთელი აღმშენებლობითი საქმიანობა, — ლენინისადმი ნათელი, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა. რაც უფრო შორდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო ოქტომბრის ქარტეხილიან ხანას, მუდამ იქნება ის მაღალი გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის მთელი აღმშენებლობითი საქმიანობა, — ლენინისადმი ნათელი, უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა. რაც უფრო შორდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო ოქტომბრის ქარტეხილიან ხანას, მის მრავალათასნაირ მიტინგებს, რომლებზეც გაისმოდა ილიჩის სიტყვა, მით უფრო მეტად იპყრობს ჩვენს მზერასა და აზრს მისი პიროვნება, მით უფრო ძვირფასი ხდება იგი ჩვენთვის.

დიახ, წლები კი არ გვაშორებს, არამედ გვაახლოვებს ლენინს. „მისი გული ყველა მშრომელისადმი, ყველა ჩაგრულისადმი მხურვალე სიყვარულით ძგერდა“, წერდა ილიჩის შესახებ ნ. კ. კრუპსკაია. ახლა კი პლანეტის ყველა მშრომელის, ყველა ჩაგრულის გული ლენინისადმი საპასუხო სიყვარულით ძგერს. ლენინი მათს ცხოვრებაში ყველაზე ახლობელი ადამიანი გახდა. მისი იდეები და საქმე მილიონთა და მილიონთა ულრმეს მრწამსად და ღვიძლ საქმედ იქცა. „დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუთხე, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სადაც ლენინის სახელი ჩაგვრის, უუფლებობის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მგზნებარე მოწოდებად, საბრძოლო ერთიანობის სიმბოლოდ, კომუნისტური იდეალებისათვის ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვების საწინდრად არ აყლერდეს“.

ილიჩის სიკვდილის შემდეგ განვლილი ორმოცდათექვსმეტი წლის მანძილზე ქვეყნად ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ დღესაც ლენინი კვლავ ჩვენი საქმეების ცოცხალი მონაწილეა, ჩვენი დიდი და ბრძენი მასწავლებელია, ხოლო ლენინიზმი, რომელიც XX საუკუნის პირობებში მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარებაა, რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების წყაროს, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერებასა და ხელოვნებას წარმოადგენს.

„ლენინიზმის წარუვალი მნიშვნელობა, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“, — ის არის, რომ იგი ღრმად და ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს, მსოფლიოს სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს სწორი პასუხი გავცეთ თანამედროვეობის საჭირბოროტო, ცხოვრებისეულ საკითხებს, გვასწავლის მომწიფებული პრობლემების გაბედულ, შემოქმედებითს გადაჭრას, გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერული გაგებით“.

საბჭოთა ადამიანების უკვე არაერთი თაობა იზრდება ლენინის რევოლუციური იდეებით. ლენინიზმის ისტორიული ბედის სიდიადე სწორედ ის არის, რომ იგი უფართოესი მასებისათვის მოქმედების უშუალო სახელმძღვანელო გახდა. ლენინის მიხედვით ვამოწმებთ ჩვენს ცხოვრებას, მისგან ვსწავლობთ, ვცდილობთ მივბაძოთ მას. და ყოველივე ეს აღგვამაღლებს.

ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა ლენინის პარტია და საბჭოთა ხალხი ამთავრებენ კომუნისტური მშენებლობის გზით წინსვლის მორიგ ეტაპს — მეათე ხუთწლედს, დარჩენილი დროის პერიოდში, ეს პერიოდი კი უკვე წელიწადზე ნაკლებს მოიცავს, უნდა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შევასრულოთ 1980 წლის არცთუ ისე ადვილი დავალებანი, უზრუნველვყოთ საიმედო მარაგნამეტი მომავლისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, ყველა საწარმოო უჯრედში შეიქმნას მაღალი მომთხოვნელობის, ორგანიზებულობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ვითარება, უნდა მივაღწიოთ, რომ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი გახდეს ლენინის იუბილეს ღირსეული წელი.

ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლა „მუშაობის საქმიანი გაძღოლის“ მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია. ლენინური გენიალურობა, სიზუსტე და ენერგია, უაზრო დავისადმი, რეალური საქმით დაუმტკიცებელი ლიტონი დაპირებებისადმი შეურიგებლობა, — ყოველივე ეს ჩვენი ზრდის ახალი მნიშვნელოვანი რეზერვია.

საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ სხვა რამეც. ლენინი მუდამ მოითხოვდა კადრებისათვის ფართო დამოუკიდებელი მოქმედების უფლების მინიჭებას. „რომ არ გვქონდეს თავის დარგში დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების გამოყოფის შესაძლებლობა, ჩვენ სრულიად ვერ შევძლებდით მუშაობას“ — აღნიშნავდა იგი ჯერ კიდევ პარტიის VIII ყრილობაზე. ამავე დროს იგი დამოუკიდებლობას პერსონალური პასუხისმგებლობისაგან არ განაცალკევებდა. ვენდოთ ადამიანებს და შევამოწმოთ საქმის ფაქტობრივი შესრულება — ეს, როგორც ცნობილია, ლენინს თავისი მუშაობის „ქვაკუთხედად“ მიაჩნდა.

დღეს, სოციალისტური დემოკრატიის განუხრელი განვითარების პირობებში, ლენინის ეს პრინციპი ახალი შინაარსით მდიდრდება. მივადწიოთ, რომ ყოველი მუშაკი მისთვის გაწეული ნდობის სიმაღლეზე იყოს, — ამას გვიხასნავს, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შესახებ“.

საქმე სწორედ რომ თითოეულს ეხება. ხომ არ შეიძლება, რომ ლენინური გეგმიერიანობა მოვთხოვოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, ვინც მართვის აპარატშია დასაქმებული, და არ მოვთხოვოთ წარმოების თუ მომსახურების სფეროს მუშაკებს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ყველა რგოლი დიდმნიშვნელოვანია, ყველა ურთიერთდაკავშირებულია, ყველა განსაზღვრავს საერთო წარმატებას.

საბჭოთა ადამიანების დიდი სიყვარული ლენინისადმი, მათი აქტიურობა კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში დამაჯერებლად ვლინდება ილიჩის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში. ჩვენთან ერთად ამ ღირსსახსოვარი თარიღის აღნიშვნისათვის ემზადებიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის იმ ათობით ახალგაზრდა სახელმწიფოს ხალხები, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მთელი პროგრესული კაცობრიობა. ლენინი და ლენინიზმი ინტერნაციონალური მონაპოვარი გახდა და მთელი მსოფლიოს მშრომელ ადამიანებს ეკუთვნის. თვით დღევანდელი სინამდვილე ცხადყოფს პოეტის სიტყვებს იმის შესახებ, თუ როგორ ფართოვდება პლანეტაზე ილიჩის აზრების, სიტყვებისა და საქმეების ძლევამოსილი სვლა.

ეს სვლა ძლევამოსილია, რადგან ილიჩის აზრებს, სიტყვებს და სახეს ადამიანები გულით ატარებენ, ამით არიან შთაგონებულნი კომუნიზმის საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ᲞᲐᲥᲢᲘᲠᲐᲕᲐ 21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ

21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქისაგან რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის მოწმობა.

მოწმობა გადასცა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ი. სემეშკინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლქის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, დიდი ენთუზიაზმითა და მადლობით აღიქვეს ლენინდელ იდეას ძის თანხმობა კენჭი იყაროს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ბაუმანის საარჩევნო ოლქში. ახლა რაიონის მშრომელები კისრულობენ დამატებითს სოციალისტურ ვალდებულებებს, რათა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით.

მოწმობის მიღებისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

მახარებს თქვენთან შეხვედრა. გთხოვთ ჩემი გულწრფელი მადლობა გადასცეთ საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის, ავტოსატრაქტორო ელექტროშესადოებლობის ქარხნისა და მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივებს, რომლებმაც დამასახელეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

წინა არჩევნებს ოთხ წელზე მეტი ხანი გვაშორებს. როგორი იყო ეს განვლილი წლები? რასაკვირველია, სიძნელეებიც და ხარვეზებიც გვქონდა. მაგრამ საერთოდ ეს ჯარგი, მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე წლები იყო.

პარტიისა და ხალხის საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით მტკიცედ მივიწევთ წინ. ჩვენს ქვეყანაში აშენდა ათასამდე ახალი სამრეწველო საწარმო. მათ შორის არის ისეთები, რომელთა ბადალი არ არის მსოფლიოში. ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაც. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ოთხი წლის მანძილზე თითქმის 14 პროცენტით გაიზარდა.

კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია; ახალი კონსტიტუცია საიმედოდ უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების უფლებებს, იცავს მათ ღირსებას.

უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები. წელს ჩვენ აღვნიშნავთ გამარჯვების ოცდამეთხუთმეტე წლისთავს. და, რასაკვირველია, უდიდესი მონაპოვარია ის, რომ შეინარჩუნეთ მშვიდობა.

მალე მომიწევს შეხვედრა ამომრჩევლებთან. მაშინ შეიძლებ უფრო დაწვრილებით შევიხო განვლილი წლების შედეგებს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში, გავაანალიზოთ პარტიის მომავალი გეგმები.

დასასრულ მინდა აღვთქვამ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა გავამართლო ამომრჩეველთა ნდობა.

* * *

მოწმობის გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, პარტიის ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ა. ტეპრიკინი, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი — ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობის ავტოსატრაქტორო ელექტროაპარატურის ქარხნის ამწყობი ზეინკალი ნ. ბ. კუსკოვი.

(საკრესი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ლ. ი. ბრეჟნევისათვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის მოწმობის გადაცემის დროს.

ᲡᲐᲙᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

GULMODGINE ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

„ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲘ! როგორ ხედავდა ლენინის იუბილეს?“ ასეთი პლაკატი გაჩნდა თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადოები მოწყობილობის ქარხნის საზეიმოდ მოსამზადებელ საამქროში. ბევრ მუშას შეუძლია გარკვეული პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. მათ ვალდებულება აიღესრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულონ პირადი ხუთწლედი.

მათ შორის არის საზეიმოდ საამქროს ასაკითა და საწარმოო სტაჟითაც ყველაზე ახალგაზრდა მუშა თევდორე შიტუხინი. ახლა მას უკვე დიდი ავტორიტეტი აქვს ბრიგადაში. ამხანაგების პატივისცემის მოპოვებაში შიტუხინს ეხმარება ცოდნა, საქმის სიყვარული, მისწრაფება — რადაც უნდა დაუჯდეს არ ჩამორჩეს მოწინავე წარმოების მუშაკებს, მზადყოფნა — დაეხმაროს ამხანაგს. და როცა ხარატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პავლე კაზაკოვმა პირობა დადო პირადი ხუთწლედი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულებინა, თ. შიტუხინმა პირველმა დაუჭირა მხარი მის თაოსნობას. ისინი ცვლის დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებენ.

ქარხნის საერთო კრებამ ახალგაზრდა ზეინკალი ერთსულოვნად დაასახელა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. (საქინფორმი).

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲥᲐᲓᲘᲡᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვეტა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისთვის გაანაღდოს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ზეინკლები მ. კოკე და ჩ. ყიბა, ხარატი ა. ბესპლემიანი, ვულკანიზატორი ა. ფოფხაძე, ძრავის ამწყობები პ. აკრბა, ზ. ანკუბა და ა. კოლბაია.

მ. ᲚᲝᲚᲣᲐ,

„კომუნისტის“ შტატგარეშე კორ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ

დიდი პოლიტიკური აქტიურობისა და ერთსულოვნების ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები, რომლებზეც გრძელდება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების — საუკეთესო მამულიშვილების, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენლების რეგისტრაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი დათანხმდა მოსკოვის ოლქის ელექტროსტალის საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კენჭი იყაროს მოსკოვის ოლქის **ელექტროსტალის** საარჩევნო ოლქში. საოლქო კომისიის სხდომაზე **ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი** რეგისტრირებულია დეპუტატობის კანდიდატად **ელექტროსტალის** საარჩევნო ოლქში.

გაიმართა მოსკოვის ოლქის **პოდოლსკის ნაჭალაქო** საარჩევნო კომისიის სხდომა. მიღებულია დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ივანე ვასილის ძე კაპიტონოვი** რეგისტრაციაში გაატარონ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში.

ბარნაულის ცენტრალური საარჩევნო ოლქის კომისიის სხდომაზე რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრირებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი **ანატოლი ალექსანდრეს ძე
ეტროვი.**

ჩელიაბინსკის ოლქის **მიასის** საარჩევნო ოლქში კომისიის სხდომაზე რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კომისიის სხდომაზე რეგისტრაციაში გატარებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ სერგეს ძე სოლომენცევი.**

იაროსლავლის **კიროვის** საარჩევნო ოლქის კომისიის სხდომაზე მიღებულია დადგენილება რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **პეტრე ნილის ძე დემიჩევი.**

საოლქო კომისიამ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მინსკის **ლენინის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პეტრე მირონის ძე მაშეროვი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი** უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ანდიჟანის ოლქის **პახტაბადის** საარჩევნო ოლქში.

ბაკოს **რაზინის** საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიამ მიიღო დადგენილება აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გეიდარ ალიერზა ოღლი ალიევი.**

დუშანბეს **კომუნისტთა** საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიამ ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა დუშანბეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მეავტომატე ხარატი **მირზო ხამიდ ხამიდოვი.**

ტამანცინერის საარჩევნო ოლქის კომისიის სხდომაზე სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია საწარმოო გაერთიანება „არმენელექტრომანქანის“ ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი **სურენ ნაჰაპეტის ძე არუთინიანი.**

თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აშხაბადის ხარკოვის საარჩევნო ოლქში საოლქო კომისიის სხდომაზე რეგისტრირებულია აშხაბადის საშენ მასალათა კომბინატის მუშა სოციალისტური შრომის გმირი **ხოჯაბერდი ამანალიევი.**

ტალინის-პოლიტექნიკური საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბორის გიორგის ძე ტამი.**

(საკრესი).

ᲧᲐᲚᲑᲘᲡ ᲜᲔᲒᲐᲖᲘᲗ

ᲓᲦᲔᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ ფართოვდება მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის — ამჟამად მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები, რომლებიც იძიებენ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციას. ხალხის ნების შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიები რეგისტრაციაში აყენებენ დეპუტატობის კანდიდატებად იმათ, ვინც მშრომელებმა დაასახელეს თავიანთ საარჩევნო კრებებზე.

საზეიმო ვითარებაში ჩაიარა ზუგდიდის რაიონის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 336 რუხის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ. იგი შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, სოფელ რუხის „კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარემ ზ. ლ. თოდუამ.

— დიდი კმაყოფილებით გავიცანით, — თქვა მან, — ღია წერილს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რომლიდანაც შევიტყვეთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე დათანხმდა კენჭი იყაროს დეპუტატად რუხის საარჩევნო ოლქში.

ზეიმი ეწორედ ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მოწინავე მეჩაიემ ვ. ი. არდიამ სხდომაზე გამოსულისას საოლქო საარჩევნო თათბირის მონაწილეთა სახელით წინადადება წამოაყენა ალიოარდ ამბროსის ძე შევარდნაძე რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში.

წამოყენებულ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი თანამედროვე ცივილიზაციის ეს ასახავს თავისი შემადგენლობით ახლანდელი გამოშვება. დარბაზში დგებიან და თავიანთი ადგილებიდან ლაპარაკობენ ეკონომისტები და ინჟინერ-მექანიზატორები, ბუნებისა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტები, მეცხოველეობის ელექტრიფიკატორები და აგროინჟინრები იმის შესახებ, თუ რა უნდა განახორციელონ პრაქტიკულად, რა უპირველესი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ მათ.

ეს შეხვედრა არის ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ახალ შესაძლებლობათა თავისებური დთვალიერება — თვით საქართველოს სოფლის მეურნეობის დათვალიერება და პერსპექტივა. „ცოდნით აღჭურვილ, სწავლას დაწაფებულო, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი საკუთარი წვლილი შევიტანოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში და ამ სულოსკვეთებით ვიწყებთ დამოუკიდებელ ცხოვრებას!“ — განაცხადეს შეხვედრის მონაწილეებმა. დარბაზში სამგზის გაისმის: „გმადლობთ!“

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს.

(სიტყვა ქვეყნდება ამავე ნომრის მეორე გვერდზე).

ᲒᲖᲐ ᲓᲐᲒᲔᲚᲝᲪᲝᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲝ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების 1200-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა მოიყარა თავი 19 იანვარს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქმეო დარბაზში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან სადღესასწაულო შეხვედრაზე. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების 1980 წლის კურსდამთავრებულთა შორის დამოუკიდებელ შრომითს ცხოვრებას პირველნი დაიწყებენ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მინდვრებში, პლანტაციებში, ფერმებში, სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოებში პრაქტიკულ მუშაობას შეუდგებიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აღზრდილები.

მათ გასაცილებლად, გზის დასალოცად მოვიდნენ დამრიგებლები, პროფესორები და მასწავლებლები, წინა წლების კურსდამთავრებულნი, უმცროსკურსელები.

სადღესასწაულო შეხვედრის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ფ. ქ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ო. გ. ვარძელაშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მინისტრები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, დიდ მეურნეობათა ხელმძღვანელები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ი. მეტრიველმა.

„ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს, გვჯერა თქვენი, ჩვენო ძვირფასო მოწაფეებო! — ასეთი იყო სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების, პროფესორების მ. ს. მეჭედლიძის, დ. მ. გელოვანის, შ. თ. ჭანშიელის გამოსვლათა ლაიტმოტივი.

„ეთქვა იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს მეურნეობებში, ჩვენს საწარმოებში, მოუთმენლად გელით, ჩვენო ახალგაზრდა კოლეგებო!“ — თქვეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. მ. ეცადაშვილმა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ა. უტიაშვილმა, ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ჯ. ი. ქვანიამ, გარდაბნის რაიონის ნორიოს მეურნეობის ფაბრიკის დირექტორმა მ. ლ. მდივანმა. მაძიებელი ახალგაზრდობის, ქართული მიწაწყლის ახალგაზრდა ბატონ-პატრონთა შთამგონებელ ხოტბად გაისმა ხუტა ბერულავას ლექსი, რომელიც პოეტმა მიუძღვნა ღირსშესანიშნავ მოვლენას — საქართველოს მეურნეობის სხვადასხვა დარგში სპეციალისტთა ახალი შევსების მოსვლას.

„დიდ მადლობას მოგახსენებთ! ვეცდებით გავამართლოთ თქვენი ნდობა და ღირსეული ადგილი დავიკავოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გასდევდა წითელ ზოლად უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების გ. ხ. კაზიევას, ზ. შ. ფეტიკარაძის, თ. ი. ბურჭულაძის ამაღელვებელ გამოსვლებს. და თითქოს მათგან იღებსო წარჩინებული სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ესტაფეტას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორეკურსელი პ. ს. ხეჩინაშვილი თავისი ამხანაგების სახელით პირობას დებს ესწრაფოდეს იმ მწვერვალებს, რომლებსაც კურსდამთავრებულებმა მიაღწიეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წელს პირველად იშრომებენ იმ სპეციალობათა წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ უცნობი იყო მისთვის. სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებულ პროცესებს, მის ერთობლივ გადასვლას ინდუსტრიულ რელსებზე, მოწინავე მეცნიერული აზრის მიღწევათა დანერგვას ასახავს თავისი შემადგენლობით ახლანდელი გამოშვება. დარბაზში დგებიან და თავიანთი ადგილებიდან ლაპარაკობენ ეკონომისტები და ინჟინერ-მექანიზატორები, ბუნებისა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტები, მეცხოველეობის ელექტრიფიკატორები და აგროინჟინრები იმის შესახებ, თუ რა უნდა განახორციელონ პრაქტიკულად, რა უპირველესი ამოცანები უნდა გადაწყვ

გგზა დაგელოცოს, სოფლის ახალგაზრდა სპეციალისტო!

ძვირფასო მეგობრებო!
სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტებო, ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგილოცავთ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტის მაღალი საპატიო წოდების მინიჭებას, გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს მომავალ საქმიანობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

დღეს ამ დარბაზში შეკრებილი ახალგაზრდები ჯერ კიდევ გუშინ ინსტიტუტების უფიტორიებსა და ლაბორატორიებში ეუფლებოდით სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომი განვითარების ხელოვნებას. ახლა თითოეული თქვენთაგანის გული აღსავსეა სიხარულითა და მომავლის რწმენით, თქვენ დგახართ დიდი ცხოვრების კარიბჭესთან, საიდანაც გადაშლილია ვრცელი შემოქმედებითი ასპარეზი და სადაც თითოეულ თქვენთაგანს შეუძლია მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა, ნიჭი და უნარი, გახდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორი, მინდვრისა თუ ფერმის მაღალკვალიფიციური ტექნოლოგი, ემსახუროს შრომელი მიწის ხვავისა და ბარაქის გამრავლებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სისტემატურ ზრდას, რაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

თქვენ კარგად იცით, რომ კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის განვითარების ყოველ ეტაპზე დიდ ყურადღებას უთმობდა და დღეს კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდა კადრებს მომზადებას, რადგან მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრებს შესწევთ უნარი გადაწყვიტონ სახალხო მეურნეობის და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და გარდაქმნების გრანდიოზული ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1979 წლის შემოდგომაზე სპეციალურად იმსჯელა იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების თაობაზე. პლენუმმა მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები და დასახა ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როცა მეცნიერება გადაიქცა რეალურ საწარმოო ძალად, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დომინირებს სოზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროში, განუხრელად იზრდება მაღალკვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სპეციალისტების როლი და მნიშვნელობა, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოება თანდათან გადადის მყარ ინდუსტრიულ საფუძველზე, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში წამყვან ადგილს იკავებს კომპლექსური მექანიზაცია, ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ერთიანი ტექნოლოგიური ციკლები, დღის წესრიგში დგება მოსავლის პროგნოზირებისა და მართვის ტერმინალების, სწრაფად მიმდინარეობს წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესი, რაც სრულიად ახლებურად აკენებს აგრარული და ზოოვეტერინარული პოლიტიკის განხორციელების ამოცანებს.

ამ პრობლემების გადაჭრა ხელეწიფებათ მხოლოდ მაღალკვალიფიციურ, მცოდნე, ინიციატივიან სპეციალისტებს, რომლებიც პერსპექტივას ხედავენ. ამ ძნელი, მაგრამ საპატიო მისიის შესრულება გაკისრებათ თქვენ, ჩვენო ახალგაზრდებო აგრონომებო და ზოოტექნიკოსებო, მექანიზატორებო და მელიორატორებო, ტექნოლოგებო და ეკონომისტებო, ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ თქვენზე, ახალგაზრდა კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომლებიც ხვალ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელები, ორგანიზატორები უნდა გახდეთ. ჩვენ თქვენში ვხედავთ მომავალ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს, დარგის ხელმძღვანელებს, ჩვენს საიმედო, ღირსეულ ცვლას. **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თქვენი სახით სოფლად უნდა ჰყავდეს თავისი ღირსეული წარმომადგენლები, პარტიის აგრარული პოლიტიკის აქტიური გამტარებლები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირველი ქომაგები, ყოველივე სიახლის გაბედულად დამკვიდრებლები.**

მაგრამ ისიც კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი შემოქმედებითი ასპარეზი მარტო მინდვრებითა და ფერმებით, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებით როდი შემოიფარგლება. თქვენი სახით სოფელს უნდა შეემატოს მაღალი მოკალაქეობრივი თვისებების, ზნეობრივად წმინდა, მტკიცე რწმენის ინტელიგენცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში — ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციაში, სოფლის კულტურის ამაღლებაში. **ჩვენი ახალი კადრები უნდა გახდნენ სოფლად კულტურის წარმომადგენლები.**

ამხანაგებო!

დღეს თქვენ ემშვიდობებით უმაღლეს სასწავლებელს. ეთხოვებით დაუივიწყარ სტუდენტურ ცხოვრებას. თქვენს გულსა და გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდება ბევრი თქვენი აღმზრდელის, პროფესორ-მასწავლებლის მშობლიური ამაგი და ზრუნვა იმისათვის, რომ თქვენ გამდიდროდით ღირსეული სპეციალისტები და მოქალაქეები.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ ღირსეულად გაამართლებთ მშობლიური ინსტიტუტების, თქვენი აღმზრდელების იმედებს.

აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტიც. კერძოდ ის, რომ თქვენი სტუდენტობის წლები დაემთხვა რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ მეტად ღირსსახსოვარ მოვლენებს — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებების განხორციელებას, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების, ნეგატიურ მოვლენებთან შეურიგებელი ბრძოლის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის წლებს. მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა უმაღლესი სკოლის ცხოვრებაშიც. უმაღლესი სასწავლებლების კარი ფართოდ გაიღო ღირსეული, მკეთდნე, მშრომელი ახალგაზრდობისათვის, საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა, მისი განუყოფელი ნაწილი გახდა მომავალი სპეციალისტების იდეურ-პოლიტიკური წრთობა, მათთვის კომუნისტური ზნეობრივი იდეალების ჩანერგვა. ყოველივე ამან მნიშვნელოვანად განაპირობა ინსტიტუტების მიერ გამოშვებული იმ თაობის სპეციალისტების ხარისხობრივი გაუმჯობესება, რომელსაც თქვენ ეკუთვნით.

ალბათ ნებადართულია ითქვა, რომ ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელების კონკრეტული გზები უკვე დასახა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც 1979 წლის 22 ნოემბერს გაიმართა. კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაჩქარებული, ინტენსიური განვითარების საფუძველია საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოებაში ფართოდ დანერგვა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის მკვეთრი ამაღლება, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის ფორმების სრულყოფა.

პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების განხორციელებაში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარში უნდა ამოუდგეთ თქვენ, სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტებო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დიდად ვაფასებთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ძველ კადრებს, მათ მდიდარ გამოცდილებას, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიიტანთ ახალ სიოს, ახალ გაუცვეთავ, დაუშტამპავ აზრს, რაც უფროსი თაობის გამოცდილებასთან შერწყმით ახალ წარმატებათა მოპოვების საიმედო გარანტია იქნება. სწორედ მეცნიერების უახლესი მიღწევები, რომელსაც თქვენ დაეუფლეთ ინსტიტუტის კედლებში, და მეურნეობრივი აღორძინობა, რომელსაც ფლობს სპეციალისტთა უფროსი თაობა, სოფლის მეურნეობის თვისებრივი გარდაქმნის ორი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, რომლებიც, თუ ერთმანეთთან მჭიდროდ იქნა დაკავშირებული, ყველაზე საუკეთესო ეფექტს იძლევა.

ამ მომენტს განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი. წარმოებაში ახალგაზრდა სპეციალისტის მისვლა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. კარგმა ხელმძღვანელმა იცის ახალგაზრდა სპეციალისტის ფასი, მაგრამ ჯერ კიდევ არა ვართ დაზღვეული ცალკეული შემთხვევებისაგან, როცა ადგილზე ჩასულ სპეციალისტებს არ უქმნიან შრომისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სათანადო კონტროლს დაუწესებს ახალგაზრდა კადრების განაწილების, სამუშაოთი უზრუნველყოფის, მათთვის შრომისა და სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საკითხს და მკაცრად მოსთხოვს პასუხს ყველას, ვინც გულგრილად ეკიდება ახალგაზრდა კადრების მიზიდვისა და ადგილზე შენარჩუნების საქმეს, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კადრებით განმტკიცება პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის განხორციელების განუყოფელი, სისტემაზომიერი საკითხია, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აყვავების ხვალინდელ დღესთან.

აქვე მინდა ერთი რამ შევნიშნო. გამოვთქვამთ რა კანონიერ უკმაყოფილებას ამათ მიმართ, ვინც სათანადო გულისხმიერებით არ ეკიდება ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებას, მათთვის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, რაც სპეციალისტთა ადგილზე შენარჩუნების მნიშვნელოვანი პირობაა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ განაწილებული სპეციალისტების გარკვეული ნაწილი არ ცხადდება დანიშნულების ადგილზე. ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის სპეციალისტი იმის ნაცვლად, რომ აქტიურად ჩაებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების კეთილშობილურ საქმეში, უაარს ამბობს სოფლად წასვლაზე, რჩება ქალაქში და, როგორც იტყვიან, „ტკეპნის პროსპექტს“.

ვფიქრობთ, უმაღლეს სკოლას, პროფესორ-მასწავლებლებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ამ მიმართულებით მეტი მუშაობა მართებთ, რათა ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთა მომზადებისთვისაც სახელმწიფომ დიდძალი სახსრები გაიღო, უპირველეს მოთხოვნილებად ექცეთ, ემსახურონ მათი ცხოვრების მთავარ მიზანსა და დანიშნულებას — სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვის შექმნის დიდ და საპატიო საქმეს.

ამხანაგებო!

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს, მაგრამ ჩვენ, როგორც ეს კომუნისტებს ჩვევიათ, არ შეიძლება მიღწეული გვაკმაყოფილებდეს და არ ვხედავდეთ გამოუყენებელ შესაძლებლობებს. დღეისათვის შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა განსაზღვრა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ძირითადი მიმართულებანი, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე. XVIII პლენუმმა დასახა მეცხოველეობის მაღალგანვითარებელი, რენტაბელურ დარგად გადაქცევის ღონისძიებათა კომპლექსი, მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების თაობაზე.

ამ დადგენილებებში მთავარი ყურადღება გადატანილია ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, იმ რეზერვებსა და გამოუყენებელ შესაძლებლობებზე, რომელთა ამოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მოგიწევთ თქვენ, ახალგაზრდა სპეციალისტებს.

როგორც მოგახსენეთ, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაზარდა ჩვენი რესპუბლიკის როლი და მნიშვნელობა შრომის საკავშირო დანაწილებაში, ამაღლდა მისი ავტორიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანდათან წამყვან ადგილს იჭერს სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოებაში. ეს მოვლენა თითოეული მშრომელის კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ სასურველ დონეზე არ დგას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ჯერ კიდევ დაბალია მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, განსაკუთრებით — სარწყავ მიწებზე, დაბალია ფურტების წველადობა, პირუტყვის სადღეღამისო წონამატება, ყოველ ას სულზე ნამატის მიღება და სხვ.

ჩვენ არ შეიძლება შეეფიროგდეთ ამ ნაკლოვანებებს. მაგრამ საქმის გამოსწორებისათვის მარტო კეთილი სურვილი და ზოგადი ლოზუნგები არ კმარა. საჭიროა სწორად შეემუშაოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სტრატეგია, განსაზღვროთ მთავარი რგოლი პრობლემათა რთულ ჯაჭვში და განვახორციელოთ სისტემატური შეტევა კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად, კონკრეტული ნაკლის გამოსასწორებლად.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების მთავარი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. ეს აქსიომად ქცეული დებულება განსაკუთრებით ნიშანდობლივია ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომელსაც მიწებისა და შრომითი რესურსების ფრიად შეზღუდული შესაძლებლობანი აქვს. ეს კარგად უნდა ესმოდეს თითოეულ ახალგაზრდა სპეციალისტს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი ბერკეტია კომპლექსური მექანიზაცია. ჩვენ დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაიქცა. სამამულო მრეწველობა სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდის სოფელს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის დარგების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონე, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველი შედეგებისაგან. ამას თავისი ობიექტური მიზეზიც აქვს. ჩვენი რესპუბლიკა მთაგორიანი რელიეფის მქონეა, სადაც ძალზე ბევრია მცირეკონტურიანი სავარგულები, რაც აფერხებს ამჟამად არსებული ტექნიკის ფართოდ გამოყენებას. მთაგორიანი პირობებისათვის გამოსალები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნა გადაუდებელ საზრუნავად არის გადაქცეული, სამთო მექანიზაციისა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებათა ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. მაგრამ მართალი არ ვიქნებით, თუ ყველაფერს რესპუბლიკის მთაგორიან რელიეფს და სამთო მექანიზაციის უქონლობას გადავაბრალებთ. მანქანების რა სისტემაც უნდა გვქონდეს, შეიძლება იგი მკვდარი საგნების გროვად გადავაქციოთ, თუ მაქსიმალურად, რაციონალურად და გონივრულად არ გამოვიყენებთ მას. რა დასამალია, რომ დღეს ვაკე ადგილებშიც დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციის დონე, ვერ ვიყენებთ ფერმებში დამონტაჟებულ მოწყობილობას, საწველ აპარატებს, დაბალია თითოეული ტრაქტორის, კომბაინის დატვირთვა და გამომუშავება. ვინ არის ამაში დამნაშავე? უპირველესად ის, ვისაც უშუალოდ ამბარია ტექნიკა, ვისაც დაკისრებული აქვს მისი ექსპლოატაცია.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ინჟინერ მექანიზატორთა ახალი კადრები | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანად გამოყენებას უფრო მონდომებით, ახლებურად მოჰკიდებენ ხელს. ლიტონ სიტყვად არ უნდა დარჩეს მრავლისმთქმელი ფრაზა — „მექანიზატორი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი ფიგურა, სოფლის მარჩენალიაო“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ახდა ჩვენი ხალხის საუკუნოვანი ოცნება, მაცოცხლებელი ტენი მიიღო ათასობით ჰექტარმა გადახრიოკებულმა მიწამ. ამჟამად რესპუბლიკაში 500.000 ჰექტარამდე სარწყავი მიწა გვაქვს. გასარწყავებული მიწების შეფარდებით ჩვენ მოწინავე ადგილი გვიკავია მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ სარწყავ მიწებზე განლაგებული კულტურების მოსავლიანობით. ჩვენში ჯერ კიდევ უაღრესად დაბალ დონეზეა რწყვის კულტურა, ვერ ვუვლით სარწყავ სისტემებს, დიდია წყლის დანაკარგები, გაბედულად ვერ ვნერგავთ რწყვისა და წყალთა მეურნეობის მოწყობის პროგრესულ მეთოდებს. შარშან, მაგალითად, საერთოდ არ მორწყულა 23 ათასი ჰექტარი მელიორირებული მიწა. თუ სხვა წლებში ამავე ფაქტს ატმოსფერული უხვი ნალექებით ამართლებდნენ, შარშანდელი მკაცრი ვვალეს ძირობებში სარწყავი მიწების მოურწყველობა ნამდვილ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ამ ჩამორჩენაშიც მელიორატორი სპეციალისტები სცოდავენ, და განა მარტო მელიორატორები? რით უნდა იმართლოს თავი მემინდვრე აგრონომმა, როცა მეურნეობაში სარწყავ მიწაზე 3-5 ცენტნერ მოსავალს იღებენ, ან მევენახე აგრონომმა, როცა სარწყავი ზვარი 30-40 ცენტნერზე მეტ მოსავალს არ იძლევა?

დარწმუნებული ვარ, ამ დარბაზში მყოფი ახალგაზრდა მელიორატორები და აგრონომები ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენებენ თავს, ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ თითოეული ჰექტარი, სარწყავი ჰექტარი მდიდარი ჰექტარი იყოს.

მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია წარმოუდგენელია, თუ ფართოდ არ დავნერგეთ ქიმიზაცია, თუ არ გამოვიყენეთ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი. ქიმიზაციის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ რესპუბლიკაში ამას წინათ შეიქმნა აგროქიმიის სპეციალური გაერთიანება. ქიმიის საკეთილო ყველა გრძნობს, ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის წარმოების გადიდება, მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მინერალური და ორგანული სასუქების ეფექტიან გამოყენებასთან. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან ერთნაირი მონდომებით არ ეკიდებიან ქიმიზაციას, ყველამ არ იცის სასუქების ყადრი. ჯერ კიდევ დიდია სასუქების დანაკარგები ტრანსპორტირებისას, ბევრ მეურნეობაში ცუდად ინახავენ მათ, არ იყენებენ აგროქიმიურ კარტოგრამებს, რის გამოც ნიადაგების ნაწილს აკლდება საკვები ელემენტები, მაშინ როცა ზოგიერთის საჭიროზე გაცილებით მეტი ეძლევა.

ახალგაზრდა სპეციალისტებს არ გესწავლებათ, რა დიდძალ თანხებს ახმარს სახელმწიფო სასუქების წარმოების ზრდას, მაშ, რატომ არ უნდა მოხმარდეს სრულად ეს სიკეთე ჩვენს მინდვრებსა და პლანტაციებს, ზვრებსა და ბაღებს? ამისათვის ყველამ უნდა ვაგოთ პასუხი, ხვალიდან ამისთვის თქვენც იქნებით პასუხისმგებელნი, ახალგაზრდა აგროქიმიკოსებო, აგრონომებო და მექანიზატორებო!

ჩვენ კანონიერი სიამაყით ვლაპარაკობთ ჩვენი მეჩაიეების, მევენახეების, მეციტრუსეების, მებაღეების შრომის წარმატებებზე. ეს წარმატებები უთუოდ დიდია და სათანადოდაც დაფასებულ პარტიამ, მთავრობამ და ხალხმა. მაგრამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ წამყვან დარგებში გაცილებით მეტი წარმატებები გვექნებოდა მოპოვებული, ჩვენს ზვრებს, ბაღებსა და პლანტაციებს, რომ არ სჭირდეს ისეთი დიდი სენი, როგორიც არის სიმეჩხრე. დღეისათვის რესპუბლიკაში ვენახების სიმეჩხრე აღწევს 16 პროცენტს, ხეხილის ბაღებისა — 13 პროცენტს, ციტრუსოვანთა ბაღებისა — 7 პროცენტს, ჩაის პლანტაციებისა — 10 პროცენტს. გამოდის, რომ ფაქტობრივად გვაკლია ათასობით ჰექტარი ბაღი და ზვარი, მოცდენილ ადგილებში უქმად კკარგავთ სასუქებს, უქმად ვამუშავებთ ტექნიკას, ვეწევით უქმ შრომას, ვკარგავთ ათიათასობით ტონა ძვირფას სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

მეჩხერი ბაღი, ზვარი და პლანტაცია უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის სპეციალისტის მორცაწეობის დიდი ნაკლია, იგი თითქოს დიაგნოზს უსვამს სპეციალისტის მთელ საქმიანობას. რა იწვევს სიმეჩხრეს? ცუდად მომზადებული პლანტაჟი, უხარისხო ნერგი, ახალშენის მოვლის აგროტექნიკის დარღვევა. ყველა ამ სამუშაოს დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის უპირველესად აგრონომი აგებს პასუხს. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების ინტენსიურ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ მთლიანად არ აღმოვფხვრით ბაღ-ვენახებისა და პლანტაციების სიმეჩხრეს.

როცა ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეს, მოქმედებლა-მდე, მშრომელი ადამიანის სუფრამდე ამ პროდუქტების მიტანის საკითხი.

ეს ფრიად სერიოზული პრობლემაა. უბედურება გაანგარიშებით ჩვენ ყოველწლიურად ვკარგავთ მემცენარეობის პროდუქციის 20 პროცენტზე მეტს. ეს ხომ ათიათასობით ტონა ხილი, ბოსტნეული და სხვა ძვირფასი პროდუქტებია, რომელთა წარმოებაზეც დიდძალი შრომა და სახსრები დაიხარჯა, რომელებსაც ელოდნენ ჩვენი მშრომელები, და ვერ მიიღეს.

მოსავლის დანაკარგებს უნდა ვებრძოლოთ მინდორშიც და ტრანსპორტირების დროსაც, შესანახ ბაზებშიც და გადამამუშავებელ საწარმოშიც.

მართალია, დღეისათვის გვაკლია გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდძალი ნაწილი ადგილობრივ მარტო ეს როდია. დანაკარგების დიდი ნაწილის თავიდან აცილება შესაძლებელია შრომის ორგანიზაციის მკვეთრი გაუმჯობესების, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრული დატვირთვის, ამ სიმძლავრეების უფრო ეფექტიანი გამოყენების ზეთით.

მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ამ დარბაზში მყოფი ახალგაზრდა სპეციალისტი ტექნოლოგები, რომლებსაც გადამამუშავებელ მრეწველობაში მოუწევთ საქმიანობა, აქტიურად ჩაებმებიან ყველა ამ პრობლემის გადაჭრაში და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანენ, როგორც პროდუქციის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე მისი ხარისხის გაუმჯობესებაში.

ამხანაგებო!

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძვირფასი დასახული მეცხოველეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის. როდესაც ამ დარგის მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ უფროსი თაობის სპეციალისტებმა საკმაოდ ბევრი საზრუნავი დაგიტოვეს ახალგაზრდა სპეციალისტებს. სადღეისოდ ერთი ფერის საშუალო წლიური წველადობით, სახელმწიფოსთვის ჩაბარებული პირუტყვის ცოცხალი წონისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ამ ბრანჩში. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ განსაზღვრული ამოცანა — გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად — უზენაესად ეხება თქვენ — ახალგაზრდა ზოოტექნიკოსებს, ვეტექმედებს, საკვებმამუშავებლებს, მექანიზატორებისა და სხვა სპეციალისტებს! ღირსებს საქმედ უნდა იქცეს, ხოლო ამ ამოცანის წარმატებით შესრულება — თქვენი მუშაობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად.

მეცხოველეობის მძლავრი და სწრაფი განვითარება როგორც დღეს, ასევე პერსპექტივაში მოითხოვს შემდეგი ძირითადი პრობლემების დადებითად გადაწყვეტას:

1. საკვები ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას; პირუტყვისა და ფრინველის უზრუნველყოფას საჭირო რაოდენობის სრულფასოვანი და იაფი საკვებით; საკვები კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურის გაუმჯობესებას. ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებებს. ახლად შექმნილმა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლქიმიამ“ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად ფართო მასშტაბით უნდა განახორციელოს ზოოვეტერინატიტუტების მიერ დამუშავებული მთის სათბონ-საძოვრების განოყიერების და გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში ბუნებრივი სათბენების მოსავლიანობა 25-30 ცენტნერ თივას ჰექტარზე, ხოლო საძოვრებისამ — 2500-3000 სკვიტ ერთეულს.

2. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სანაშენო საქმის, ხელოვნური დათესვლის, ჯიშიანი პირუტყვის გამოზრდის ორგანიზაციის გაუმჯობესება. ამოცანა ის არის, რომ 2-3 წელიწადში მკვეთრად გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი შედგენილობა, რაც საკვები ბაზის განმტკიცებასთან ერთად მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთი წანამძღვარია. სწორედ ამ მიტად მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტაში უნდა გამოჩნდეს ჩვენი ახალგაზრდა ზოოინჟინრების მიერ ინსტიტუტში მიღებული სპეციალური ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი, ორგანიზატორული ნიჭი, მონდომება და ენთუზიაზმი.

რესპუბლიკის მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესების დიდ საქმეს დღეს აქვს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ყოველწლიურად ფართოვდება და მტკიცდება. მისი სრული დატვირთვით და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება თქვენი საპატიო ამოცანაა.

3. დღეს, როდესაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სულ უფრო ინტენსიურად გადადის სამრეწველო საფუძველზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო პროცესების მაქსიმალურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ძველი ფერმების რეკონსტრუქცია და მექანიზაცია, რადგან ჯერ კიდევ დიდი ნაწილი პირუტყვისა სწორედ ასეთ შენობებში იმყოფება. და ბოლოს, მეოთხე პრობლემა — ეს არის მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების [illegible] საამქროებისა და [illegible] ეკონომიკურ [illegible] ეფექტიანობის ამაღლ[illegible]

ამხანაგებო!

[illegible] ეკონომიკური [illegible] ეფექტიანობის ამაღლ[illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობა [

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეტაიპის ფურცლიდან

ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაჩაღებული შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ განიხილეს საწარმოთა გაერთიანებებს (კომბინატებს) და მრეწველობისა და რაიონების ტრანსპორტის საწარმოებს შორის ელექტროენერგიის დაზოგვის შესახებ სოციალისტური შეჯიბრების 1979 წლის მესამე კვარტალის შედეგები.

როგორც მიღებულ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, იმის მიხედვით, რომ ფართოდ იყო გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ელექტროენერგიის დაზოგვისათვის, განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, იცავდნენ ელექტრომოხმარების გათვალისწინებულ რეჟიმებს, გაუმჯობესდა ტექნოლოგია და დაინერგა ახალი ტექნიკა, — სამრეწველო გაერთიანებებმა (კომბინატებმა) და საწარმოებმა 1979 წლის მესამე კვარტალში დაზოგეს 40,8 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სოციალისტურ შედეგებს მიაღწიეს თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის ლითონფონის ქარხნის, თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ქუთაისის მინის ქარხნის, თბილისის № 4 მაკიდარკომბინატის და სხვა კოლექტივებმა. მესამე კვარტალის მანძილზე აღნიშნული სამრეწველო გაერთიანებანი და საწარმოები უზრუნველყოფდნენ რეკორდული სიმძლავრის ოპტიმალურ სიდიდეს ელექტროდანადგარებში, არ უშვებდნენ დაწესებული ენერგოსისტემური რეჟიმის დარღვევებს, ელექტრომოხმარების ლიმიტების გადამეტებას, აკრძალავენ ენერგოსისტემათა ავარიებს.

ამასთანავე ზოგიერთმა საწარმომ, გაერთიანებამ და ორგანიზაციამ დაუშვა ელექტროენერგიის გადახარჯვა, რის შედეგადაც მესამე კვარტალში მთლიანად გადახარჯა 2,9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ყველაზე მეტი გადახარჯვა მოუვიდათ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანას (დირექტორი — ამხ. გრძელიძე), მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ღარიბაშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. თევდორაშვილი), ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანას (დირექტორი — ამხ. სიხარულიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ლაგვილავა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ბალამბერიძე), რუსთავის ამწეაშენებელ ქარხანას (დირექტორი — ამხ. პოპიაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ბლიაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. თავართქილაძე), შორაპნის ქარხანა „ელექტროლამპებს“ (დირექტორი — ამხ. გაჩეჩილაძე, მთავარი ენერგეტიკოსი, — ამხ. შარიქაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ბიბილაშვილი), ყვავლის მინის ქარხანას (დირექტორი — ამხ. იწყირველი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. გაზოკია, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. მიმინოშვილი) და თბილისის პურეულის პროდუქტების კომბინატს (დირექტორი — ამხ. ელოშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ბახტაძე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს შეიწყნარებლად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოსა და გაერთიანებისაგან მხოლოდ 180 საწარმო-გაერთიანება იყო ჩაბმული ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თანაგან მხოლოდ 60-მა წარმოადგინა მასალები მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების შესახებ, ხოლო სოციალისტური შეჯიბრების პირობები მთლიანად შესასრულა მხოლოდ 13 საწარმომ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის გაწეული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად მესამე კვარტალში ცნეს შემდეგი საწარმოების კოლექტივები:

— თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანება (დირექტორი — ამხ. მამარდაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. გალდავა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. გაზოკიძე), მაგ მიენიჭა პირველი ადგილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ადგილები და მეორე ფულადი პრემიები მიენიჭათ ქუთაისის ლითონფონის ქარხნის (დირექტორი — ამხ. ოყროშიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. მანგაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. გოგილაშვილი) და თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის (დირექტორი — ამხ. პატარიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ინწკირველი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. არველაძე) კოლექტივებს.

მესამე ადგილები და მესამე ფულადი პრემიები მოიპოვეს ქუთაისის მინის ქარხნის (დირექტორი — ამხ. წულაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ალხაზი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. დათუსელი) და თბილისის № 4 მაკიდარკომბინატის (დირექტორი — ამხ. შეყრილაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ციკინი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. კიკბიძე) კოლექტივებმა.

აღინიშნა აგრეთვე, რომ ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის კარგად იმუშავეს შემდეგი საწარმოების კოლექტივებმა: თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა (დირექტორი — ამხ. ჯაბაური, მთავარი ენერგეტიკოსი მოვალეობის შემსრულებელი — ამხ. გოლობუცკი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. სიჭინავა), თბილისის კამვოლსართავი ფაბრიკა (დირექტორი — ამხ. ტიტონაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. კვანტარაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ნახუცრიშვილი), თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა (დირექტორი — ამხ. თავაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ბახტაძე, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ბაღდასაროვა), თბილისის საავიაციო ქარხანა (დირექტორი — ამხ. თორდია, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. ჭელიძე, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ლომიძე), თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“ (დირექტორი — ამხ. ტეტუნაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. მუშკუდიანი, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. ასათიანი), სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება (დირექტორი — ამხ. ნიკიფორაძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. კრასნოვი, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. კვირიკაშვილი), თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროხელსაწყო“ (დირექტორი — ამხ. ბოჭოიძე, მთავარი ენერგეტიკოსი — ამხ. მეგრელიშვილი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. საკიანი).

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი, რათა უფრო ფართოდ ჩაბმულ საქვეუწყებო გაერთიანებები (კომბინატები), საწარმოები და ორგანიზაციები ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ბავშვთა ბედნიერებისათვის

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის საერთაშორისო ფლის შედეგების გამო

გაიმართა ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის საბოლოო სხდომა, რომელზეც მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. სხდომაზე შეჯამდა ბავშვის საერთაშორისო წლისთან დაკავშირებული მუშაობის შედეგები.

გასულ წელს რესპუბლიკაში აშენდა 3780 ადგილიანი საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი. შესრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები: 34 ათასზე მეტი მოსწავლე შეუდგა წელს სწავლას ახალ კეთილმოწყობილ შენობებში.

ბავშვის საერთაშორისო წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბავშვო პროდუქციის ასორტიმენტი, რომელსაც ამზადებენ რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, მათ შორის ხარისხის სახელმწიფოთნიშნიანი ნაწარმისა.

ვაჭრობის სამინისტროსა და ცენტრალურ სისტემებში ვაზიარდა ბავშვთა კვების ობიექტების რაოდენობა. ბათუმში, ქუთაისსა და ხაშურში ვაიხსნა სპეციალიზებული კაფეები პატარებისთვის, გაფორმებულია სასკოლო კვების ბაზა. დამტკიცდა საავტო ფირმა „ბავშვთა საამყაროს“ ახალი მეთაური უნიფორმის მშენებლობის პროექტი. იგი ვაჭრობის მოედანზე აშენდება.

რესპუბლიკაში ხორციელდება ბავშვთა სამეფიციონო მომსახურების „გაუმჯობესების ფართო პროგრამა. მიათვ ხუთწლედში მწყობრში ჩადგება 928 ადგილიანი საბავშვო სანატორიუმ-პროფილაქტიკური დაწესებულებანი, უახლოეს ხანში გაიხსნება რესპუბლიკური ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი. ამ იქნება სამკურნალო პროცედურების მთელი კომპლექსი: სამკურნალო ფიზიკურტურა, მასაჟები, ტალახის აბანებები, ფიზიო-თერაპიული და ბალნეოლოგიური პროცედურები. ცენტრთან დაარსდება რვაწლიანი სკოლა.

შარშან კარგი ინიციატივა გამოიჩინა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა. ამ საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მობილური პოლიკლინიკა, რომელიც დიდ სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევა სოფლად. მის შემადგენლობაში არიან პედიატრები, ნეკროპათოლოგები, ქირურგები, ოტოლარინგოლოგები, ოკულისტები და ექიმ-ორგანიზატორი. მარტო პირველ ოც დღეში მათ რესპუბლიკის ოთხ რაიონში დაახლოებით 57 ათასი ბავშვი გასინჯეს. სადისპანსერო მეთვალყურეობა დაეწესება ორი ათას ხუთასზე მეტ ბავშვსა და მეზობლებს. გარდა ამისა, მეთვალყურეობა დახმარება გაეწიოს ადგილობრივ ექიმებსა და მშობლებს.

ბავშვობისდა მოსამზადებელი ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობა. რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი განაზორციელა სპორტში მოზარდების ჩაბმისათვის. მაგალითად, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოლექტივების რესპუბლიკურ თათვალიერებაში დაახლოებით ასი ათასი ბავშვი მონაწილეობდა. პირველად მოეწყო „ოჯახური სტარტები“.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს ბავშვთა დასვენების მოწყობისათვის. გაფართოვდა პიონერთა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელი. ზაფხულში ამ დაისვენა 158 ათასზე მეტმა ბავშვმა.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა ბავშვებისათვის ახალი საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს.

გარდა ამისა, კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ჩვენი ბავშვებისათვის. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაიზარდოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, რათა 1985 წლისათვის მივაღწიოთ საშუალო საერთო საკავშირო მაჩვენებელს. საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში საკმარისი ადგილების მიხედვით. უნდა გავაუმჯობესოთ სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობის ხარისხი, გავაფართოოთ ბავშვებისათვის განკუთვნილი პროდუქციის ასორტიმენტი, უახლოეს მომავალში უნდა გადაწყვიტოთ ბავშვთა საკვებმეცნიერების, სკოლამდელი დაწესებულებების რძითა და ფიტური პროდუქტებით შეუფერხებელი მომარაგების საკითხი. საჭიროა გავაუმჯობესოთ ოჯახური დასვენების ორგანიზაცია, გავაფართოოთ სპორტული და გამაჯანსაღებელი სპორტული ბაზების ქსელი.

კომისიამ მოიხმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ვ. ქარელიძის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივნის ზ. ქვაჭაძის, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ი. ვამიკელის, საქართველოს აოკა ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ი. ორჯონიკიძისა და საქართველოს საბჭოთა ქალების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ჯაბადაშვილის ინფორმაციები.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მთლიანად მოიწონა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ბავშვის საერთაშორისო წელს დასახული ამოცანათა გადაწყვეტისათვის, კომისიის სამდივნოს დავალება განზოგადოს და კომისიის სახელით შესაბამის ორგანიზაციებს დაუგზავნოს შემოტანილი წინადადებანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის, ბავშვებისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხების შესახებ.

ᲐᲠᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐᲜᲘ

კაირო. აქ დამთავრდა მორიგი ტური ეგვიპტე-ისრაელის ერთობლივი სამუშაო ჯგუფების მოლაპარაკებისა და მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის მცხოვრებთათვის ეგრეთ წოდებული „პალესტინის ავტონომიის“ შესახებ.

დამთავრებულმა რაუნდმა, აღინიშნავდნენ მიმმხილველნენი, ეგრავითარი ცვლილება ვერ შეიტანა ისრაელის მკაცრ პოზიციაში, რომელიც, როგორც ცნობილია, უაღრესად ზღუდავს დასავლეთის ნაპირზე და ღაზაში ეგრეთ წოდებული „პალესტინის ადმინისტრაციული სამეფო“ რწმუნებულებებს და დაჟინებით უარყოფს ეგვიპტის მხარის იდეას იერუსალიმის ოკუპირებული არაბული სექტორის მცხოვრებთა ამ მარიონეტული „ხელისუფლების ორგანოს“ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ამგვარი პოზიცია, რომელიც ამხილეს სპეციალურად მოლაპარაკების ჭეშმარიტ არსს, ვერ დააკმაყოფილებდა ეგვიპტის მხარეს, რომელსაც სურს „პალესტინელთა უფლებების დამცველის“ როლში მოევლინოს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს. ამასთან დაკავშირებით ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დელეგაციამ, როგორც მენის საგენტო იუწყება, განაცხადა, რომ ისრაელის ბრალია მიუღებელია.

მოუხედავად ამისა მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ მოლაპარაკება. მოლაპარაკების მორიგი ტური ისრაელში გაიმართება მიმდინარე თვის დამლევს.

რევოლუციის დაცვაზე

ქაბული. 21 იანვარი. აქ გაიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეროვნული თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები,

როგორც ბახთარის საინფორმაციო იუწყება, მოხსენება ქვეყნის მდგომარეობისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ გააკეთა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაქ ქარმალმა. მან განაცხადა, რომ ამჟამად ავღანეთი გახდა ამერიკის იმპერიალისტების, მისი ჩინელი დამჭაშვებისა და სიონისტების მხრივ ყოველგვარი წაქეზების, აშკარა ჩარევისა და აგრესიის ობიექტი. ბაბრაქ ქარმალმა მკაცრად გააკრიტიკა „თვალთმაქცური პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც დასავლეთში გააჩაღეს ავღანეთისა და მისი დიდი გულწრფელი მეგობრის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. დაგმო იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი მიზნების მისაღწევად. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა სხდომის მონაწილეებს აცნობა, რომ პაკისტანში ყოველდღიურად ჩადის ათობით თვითმფრინავი, რომლებსაც ჩაქვთ იარაღი და სხვადასხვა სამხედრო აღჭურვილობა, ჯერ-ჯერ, შეტევითი ხასიათისა, ოლპარაკა პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მიმდინარე პროვოკაციული ავრესიული სამზადისის შესახებ.

ამერიკელი იმპერიალისტები, სიონისტები და ჩინელი ჰეგემონისტები, ავრეთვე პრეზიდენტ სადათის რეჟიმი, ხაზგასმულია მოხსენებაში, ცდილობენ პაკისტანი იმპერიალისტურ პლაცდარმად გადააქციონ შუა აღმოსავლეთში. ამზადებენ და აიარაღებენ ჯაშუშებს, ტერორისტებსა და გამყიდველ დაქირავებულებს, შემდეგ კი მათ ავღანეთში ვზავნიან. ეს მოქმედება მარტო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ როდია მიმართული. მისი მიზანია ჩააშოს რეგიონის ხალხთა ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბაბრაქ ქარმალმა სხდომის მონაწილეებს განუცხადა, რომ ავღანეთის ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან რევოლუცია და მისი პროგრესული მონაპოვარნი. ათასობით ჩვენი თანამემამული, რომლებიც ამინის ულელქვეშ იტანჯებოდნენ, თქვა მან, მიესალმება აპრილის რევოლუციის ახალი ეტაპის გამარჯვებას და ნებაყოფლობით ეურთდება ტერორისტებისა და ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ავღანეთის თავისუფალი ხალხის პატრიოტიზმის მკაფიო დადასტურებაა.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილეს ბაბრაქ ქარმალის მოხსენება, ეროვნული თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს მისცეს კონკრეტული მითითებანი, რომ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ შეთქმულებები, ეფექტიანად უკუაგდონ იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიული მოქმედება და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ



ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. ნაგლეშები, მდინარეების ქაბულისა და პიანჯირის შესაყართან (სურათზე), წარმატებით მუშაობს ერთ-ერთი წამყვანი, 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროკომპლექსი. ეს ჰიდროელექტროსადგური სსრ კავშირისა და ავღანეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგად ცნობილი ობიექტია ამ ქვეყანაში. მან შესაძლებელი გახადა ქაბულისა და დედაქალაქის მახლობელი რაიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

საკლესის ფოტოქრონიკა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ისლამაბადი, 21 იანვარი. აქ დაიწყო ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ხუან ხუას მოლაპარაკება პაკისტანის ლიდერებთან. მათი მიზანია შეასრულონ ჩინეთ-ამერიკის მორიგებანი იმის შესახებ, რომ მეტი იარაღი მიაწოდონ პაკისტანის არმიას, აგრეთვე დაქირავებულთა ბანდების სამხედრო შენაერთებს, რომლებსაც ამერიკელები და ჩინელები იყენებენ ავღანეთის წინააღმდეგ აგრესიული აქციებისათვის.

ჩინეთი პაკისტანისათვის იარაღის უდიდესი მიმწოდებელია. გენერალ ზია-ულ-ხაკის თქმით, ჩინეთის „დახმარების“ საერთო თანხამ 1966 წლიდან 2 მილიარდ დოლარს მიაღწია. მის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იარაღი და ტყვიამწამალი, პეკინმა პაკისტანის არმიას მიაწოდა დაახლოებით 700 ტანკი, ავიაგამანადგურებელთა რამდენიმე ესკადრილია. ჩინეთის დახმარებით აქ აშენდა ტანკის მოტორების ქარხანა, იარაღის საწარმოო რამდენიმე კომპლექსი. განსაკუთრებით გაფართოვდა ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობა სტრატეგიული იარაღაყორფის გზატკეცილის მშენებლობის შემდეგ, რომელიც ჩინეთს პაკისტანთან აკავშირებს. ამ ქვეყანაში არის აგრეთვე ათობით ჩინელი სამხედრო ინსტრუქტორი. ჩინეთი არც კი დაელოდა ახლანდელი მოლაპარაკების დამთავრებას და დაიწყო პაკისტანისათვის იარაღის დაჩქარებული მიწოდება იარაღაყორფის გზატკეცილით.

დელი, 21 იანვარი, როგორც პრეს ტრასტმ ოდ ინდიის საგენტო იუწყება, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინდოეთმა დიპლომატიური არხებით აცნობა პეკინს თავისი თვალსაზრისი იარაღაყორფის გზატკეცილით ჩინური იარაღის მიწოდების შესახებ და ამასთან დაკავშირებით თავისი შეშფოთება გამოთქვა. ამ რეგიონში — ინდოეთიდან ოფიციალურად თუ კოლექტიურად — იარაღის მიწოდების წახალისება ინდოეთის შეშფოთებას იწვევს, თქვა წარმომადგენელმა.

ტოკიო, 21 იანვარი. იაპონიის გაზეთი „მაინიჩი“ იმიწმებს პაკისტანის პეკინელი დიპლომატების განცხადებებს და წერს, რომ ისლამაბადში ხუან ხუას ვიზიტის შედეგად „კიდევ უფრო იზრდება“ ჩინეთის სამხედრო დახმარება დაქირავებულთა ბანდებისადმი, რომლებიც ავრესიულ მოქმედებას ეწევიან ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

იგივე წრეები აღნიშნავენ, წერს გაზეთი, რომ ჩინეთი პაკისტანში გაზავნის „სამხედრო სპეციალისტებს“ ანტიავღანელი დაქირავებულების გასაწვრთნელად.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ წყდება უხეში ანტისაბჭოური პროვოკაციები. ნიუ-იორკის საერთაშორისო აეროპორტში ოფიციალურ ხელისუფალთა ნებართვითა და მხარდაჭერით ადგილობრივმა სამსახურებმა ყარი თქვეს მომსახურებოდნენ აეროფლოტის თვითმფრინავს, რომელიც აქ რეგულარული რეისით ჩამოვიდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში საბჭოთა ლაინერი არ გადმოცალეს და არ ჩაუსხეს საწვავი, რომელიც უკან დასაბრუნებლად სჭირდებოდა. საბოტაჟი გაუწიეს ავრეთვე მგზავრებისა და ბარგის რეგისტრაციას. მხოლოდ აეროფლოტის ნიუ-იორკის განყოფილების საბჭოთა თანამშრომლების მეცადინეობის მეოხებით, რომლებმაც თვითონ შეასრულეს მთელი სამუშაოები, შეძლო თვითმფრინავმა გამოფრენილიყო მოსკოვში, ისიც 7 საათის დაგვიანებით.

საბჭოთა კავშირში მომავალ მგზავრებს შორის იყო ამერიკელ ტურისტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც უნებლიედ გახდნენ პროვოკაციის მსხვერპლნი. მე გავესაუბრე ზოგიერთ მათგანს. მაიკლ ფ. — კონსტიტუციელი ინჟინერი: „მე ვერ მოვიყოლინებ მოქმედებას აეროფლოტის ხელისუფალთ, რომლებმაც თვითმფრინავი დაკავეს. დარწმუნებული ვარ, რომ თვითმფრინავის დაკავების სანქცია ზემოდან იყო მიღებული და აშკარად ისახავდა მიზნად კიდევ უფრო გაამწვავოს ანტისაბჭოურობის ატმოსფერო ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარწმუნებთ, რომ, ბრალი ტაბლიცებთა მოეხდებიან, ძალზე ბევრი ამერიკელი გმობს ადმინისტრაციის მიერ აღებულ კურსს, რომლის მიზანია ააღორძინოს საბჭოთა კავშირთან „ცივი ომის“ ხანა“.

ქეთრინ უ. — ოჰაიოელი დიასახლისი: „მე პირველად მოვიმგზავრები ოჰაიოს ქვეყანაში, რომელის ნახვასაც მრავალი წელია ვნატრობდი. სამწუხაროდ, მოგზაურობა ჯერ არ დამეწყო და ასეთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. მე აღშფოთებული ვარ ხელისუფალთა უმსგავსო მოქმედებით!“

ვ. რეშეტილოვი.

ᲛᲔᲛᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ყოფილმა მეჩიეებმა ოერი ტანაბამ და ვალერი ხალიაშმა ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობა „დურიფშში“ მუშაობა დაიწყეს ინჟინერ-მექანიზატორებად, ხოლო ნელი ტანიამ — ეკონომისტად. დღეს ისინი ადგილობრივი არიან და ამომრჩევლებს ესაუბრებიან სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, კადრების მომზადებისათვის სასოფლო საბჭოს ზრუნვაზე. წინა არჩევნებიდან განვლილ ოთხ წელიწადში დურიფშში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით შობილიერ სოფელს დაუბრუნდა 8 ახალგაზრდა დურიფშელი. 12 კოლმეურნეს შორის, რომლებიც ახლა წარმოებას მოუწყობენ, ოერ ტანიამ ეკონომიკურ ანგარიშებს ეწევა, ნელი ტანიამ — ბუღალტერ-ეკონომისტად. ეს ბიჭები ბევრ ინიციატივებს ავითარებენ, ეხმარებიან ბებერ ადამიანებს, ეხმარებიან ბავშვებს

გრაფიკა

ღირსშესანიშნავ მოვლენას — საბჭოების არჩევნებს ეძღვნება პლაკატი, რომელიც ამ დღეებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ.

პლაკატის მხატვრები არიან ნ. მალაზონია და დ. დუნდუა, რედაქტორი — მ. ჭანიშვილი, ტირაჟი — 5000 ეგზემპლარი.

მეცნიერები — წარმოებას

საბაგირო გზა ზურგჩანთაში

ალპური საძოვრებიდან თივის სწრაფად ჩამოტანას, მთაზე გეოლოგთა აღჭურვილობის ატანას ხელს შეიწყობს ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი პორტატიული საბაგირო გზა. მისი აწყობა ერთ საათში, საათ-ნახევარში შეიძლება. ამისათვის ფოლადის წვრილი გვარლი საჭირო სიმაღლეზე უნდა დამაგრდეს. პატარა მოტორს ბაგირით ადვილად გადააქვს ბაქანი, რომელზეც ხუთი კუბური მეტრი თივა ან ხუთას კილოგრამამდე მოწყობილობა დევს.

პორტატიული საბაგირო გზა ადვილად თავსდება ზურგჩანთაში და მოტოციკლზე, ძვირი არ ღირს. მოძრავი საბაგირო გზის სკეცდილი ვარიანტი მოქმედებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მახლობელ ფერდობზე. — საქართველოში ძნელად მისადგომ ფერდობებზე განლაგებულია დაახლოებით ორი მილიონი ჰექტარი სათიბი. მთაში საკვების დამზადების პრობლემა გადასაწყვეტია ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სხვა რაიონებშიც. ყველა ამ ზონაში მოძრავი საბაგირო გზა შეიძლება ერთილ თანაშემწედ გადაიქცეს სოფლის მშრომელთა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კ. ცხომელიძეს ამ საბაგირო გზის ერთ-ერთმა შემქმნელმა, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის „ტრანსპროგრესის“ თბილისის კომპლექსური განყოფილების უფროსმა კ. გველესიანმა, — ჩვენ მიერ შექმნილი საბაგირო გზა გარდა მთის საძოვრებისა, მთაში გაშენებული ვენახებისთვისაც გამოდგება მწკრივთაშორის კულტივაციის დროს.

(საქინფორმი).

ხელვაჩაური

გვატყობინებს გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი:

ახალი საბავშვო ბაღები

რაიონში დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმეს. ახლა ათასობით ბავშვი დადის საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ახლახან ახალმოსახლეობა იზეიმეს თხილნარის, ურეხის, გონიოს, ჩილტასა და ხელვაჩაურის ნორჩებმა.

მშრომელთა საკეთილდღეოდ

საბჭოთა მეურნეობებში თანმიმდევრულად ზრუნავენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო შარშან საეჭსლოატაციოდ გადაეცა მახვალაურის, თხილნარის, ახალშენის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების საცხოვრებელი სახლები. ამათ გარდა, დაბა ხელვაჩაურში ახალმოსახლეობა იზეიმა 70 ოჯახმა, ხოლო მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოსწავლეებმა მიიღეს ქარი საჩუქარი — მრავალსართულიანი საერთო საცხოვრებელი.

შენდება სკოლები

თანამედროვე ტიპის სკოლები იძლევა იმის საშუალებას, რომ მეცადინეობა ერთ ცვლად წარმოვიდგეს, ახალი მრავალსართულიანი სკოლა მიიღეს გონიოელმა მოსწავლეებმა. შენდება ჩასასწავლი, ადლიის, ჩიქონეთის სკოლები.

მეგობრობის ბაღი

გონიოს ისტორიული ციხის ეზოში „მეგობრობის ბაღს“ რამდენიმე ჰექტარი უჭირავს. ეს ჩვეულებრივი ბაღი კი არა, ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი მუზეუმია. ოცდაათ წელზე მეტია შენდება და ლამაზდება იგი. ტანაყრილ ხეებსა და ციტრუსოვანთა ნარგავებზე მიკრული ფირნიშნებით თქვენ გაიგებთ, რომელმა ისტორიულმა პიროვნებამ და დელეგაციამ შემატა ახალი ნერგი ბაღს. განსაკუთრებით ბევრი ნერგი დაურგავთ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის დელეგაციის წარმომადგენლებს, რომელთაც აჭარის მშრომელებთან მტკიცე ძმობა და მეგობრობა აკავშირებთ.

მ. გორგილაძე.

თავგანწირვა

თამაზ კერესელიძის სახელის უკვდავსაყოფად

რედაქციაში თაორეთის ასსრ ქ. ნაბერეჟნეე ჩელნიდან წერილი მოვიდა. ავტორი ვ. მაქსიმოვი გვატყობინებს, რომ ქალაქის უველაზე. ლამაზ ქუჩას ქართველი ვაუკაცის თამაზ კერესელიძის სახელი დაერქვა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნაბერეჟნეე ჩელნის ცენტრში გაიმართა საზეიმო მიტინგი. აქ შეიკრიბნენ ქალის საავტომობილო ქარხნის მშენებლები, ქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, მოედანზე გამწკრივდნენ შინაგან საქმეთა სამმართველოს მთელი პირადი შემადგენლობა, ავტოინსპექციის კომკავშირული ჯგუფები, სახალხო რაზმელები.

საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგზე საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. მახმუტოვამ წაიკითხა ბრძანებულება, რომ უდროოდ დაღუპული ქართველი ახალგაზრდის, მილიციის ლეიტენანტის თამაზ კერესელიძის სახელი მიეკუთვნა ნაბერეჟნეე ჩელნის ერთ-ერთ ქუჩას.

მიტინგზე „გამოსულმა სამამულო ომის ვეტერანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ი. კარდაშენკომ თქვა: — ჩვენ, კამის ავტოგიგანტის მშენებლები მადლობელი ვართ თამაზ კერესელიძის შობლებისა, მთელი ქართველი ხალხისა, რომ მათ აღზარდეს და ქვეყნის მთავარ მშენებლობაზე გამოგზავნეს“ ისეთი ღირსეული კომკავშირელი ახალგაზრდა, როგორიც თამაზი იყო.

ᲘᲜᲐ იყო თამაზ კერესელიძე, რით დაიმსახურა მან ხალხის სიყვარული?

„კომუნისტის“ შარშანდელი მაისის ნომერში მკითხველებს გავაცანით გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ მიერ მოთხრობილი ერთი თავგანწირვის ამბავი, რომელიც თამაზ კერესელიძის გმირობას ეძღვნებოდა.

ამჯერად ვვინდა მკითხველს უფრო ვრცლად მოვუთხროთ ქართველი ახალგაზრდის მამაცობაზე, მის სახელს ხომ მოძმე თათრეთის რესპუბლიკაში ასეთი პატივით იხსენებენ.

თამაზი ამბროლაურის რაიონიდან იყო. სადმელის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს თავის შობლიურ კოლმეურნეობაში ავტომძღოლად იმუშავა. 1971 წელს კომკავშირული საგზურით კამის ავტოქარხნის მშენებლობაზე ჩავიდა, სადაც თავი გამოიჩინა მუყაოთი შრომით, გახდა კომუნისტური შრომის დამკვრელი. მას, როგორც მოწინავე აქტივისტს, კოლეგა ალეკსანდრ ბოგატოვი ეგულებოდა. ყოველ ამოწმებდა ყოველ უბანს, საითაც გზას უნდა გაევლო. 1924 წლის ზამთარში გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა და თბილისს ჩამოვიდა, სადაც რესპუბლიკის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს ეწვია და თუშეთის სამანქანო გზის გაყვანის გეგმა გააცნო. ფილიპე მახარაძე თუშეთში ნამყოფი იყო და იქაური ყოფაცხოვრების პირობები იცოდა. მას მოეწონა თუშის აზრი და უთხრა, ამ საკითხს მალე განვიხილავთო.

1927 წელს თბილისიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა შეადგინეს გზის პროექტი სოფელ ლეჩროდგინი (კახეთი) სოფელ ოდლომდე (თუშეთი). მუშაობის დროს ინჟინერებს თან ახლდათ გიგოლე კახოძე, რომელსაც თა-

სურათზე: სპექტაკლ „ოტელოს“ სცენა. ოტელო — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ანდღულაძე; დეზდემონა — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი (გადაღებულია გენერალური რეპეტიციის დროს).

ი. მურადოვის ფოტო.

საოპერო ხელოვნება

ოტელო ისევ ჩვენთან არის

დღეს, 22 იანვარს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ვერდის ოპერა „ოტელოს“ პრემიერა.

1887 წლის 5 თებერვალს მილანის „ლა სკალას“ სცენაზე პირველად აყალირდა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ოტელო“. ერთი წლის შემდეგ, 1888 წლის 3 ოქტომბერს „ოტელოს“ პრემიერა გაიმართა თბილისში და ამ დღიდან იგი მტკიცედ დამკვიდრდა თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარში. „ოტელო“ შემდეგშიც რამდენჯერმე დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1934 და 1949 წლის პრემიერები, რომლებზეც თავისი დიდი ნიჭიერება ცხადყოფს ქართული საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატებმა.

და აი, 30 წლის შესვენების შემდეგ, დღეს 22 იანვარს ავლავ „ოტელოს“ პრემიერაა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე.

პრემიერის წინ მოვუსმინოთ მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერლებს:

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი ნოდარ ანდღულაძე (ოტელო):

— „უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, რომ ვერდის გენიალური ქმნილება ავლავ დაუბრუნდა ჩვენს თეატრს. ამით გამოწვეული სიხარული გვიორკიკებს

— „ოტელოს“ დადგმა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. ოპერის პარტიტურა მეტად რთულია. იგი შთაგონებულ შრომას, დიდ გამოკვლევებსა და დახვეწილ ოსტატობას მოითხოვს. დეზდემონას პარტია მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ოცნება იყო. იგი მიზიდავს მდიდარი პალიტრით, ზნეობრივი სიწმინდითა და კეთილშობილებით. მის შესასრულებლად საჭიროა მაღალმხატვრული ალღო, ფორმის შეგრძნობისა და განწყობილებათა მრავალწახნაგოვანი გამოხატვის უნარი. მიხარია, რომ ხელოვნების ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან მომიხდა მუშაობა, როგორებიც არიან რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვარი ფ. ლაპაიაშვილი, მომღერლები ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, ე. გეწაძე, რ. კაკაბაძე, თ. გურგენიძე და სხვები.

გლინკას სახელობის ოპერალეტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ე. გეწაძე (იაგო):

იაგოს პარტია ურთულესია, მაგრამ ამ სირთულეს ემატება რეჟისორის ჩანაფიქრის სირთულე, რომლის მიხედვითაც იაგოს სახე მრავალპლანიანობას იძენს. ამ როლზე მუშაობას არასოდეს არ შეწყვეტ. იგი დაუსრულებლად მოითხოვს სრულყოფას. ბატონ დ. ალექსიძესთან შემოქმედებითი შეხვედრა უდიდესი სკოლაა ჩემთვის.

მაშ ასე, დღეს პრემიერაა, მთავარ პარტიებს იმღერებენ ზ. ანჯაფარიძე, მ. ამირანაშვილი და ე. გეწაძე. შემოქმედებითი სიხარული ვუსურვოთ თეატრს კოლექტივსა და მაყურებელს.

ნათელა სვანიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ᲕᲔᲚᲝᲡᲙᲝᲠᲢᲘ

საპატიო მესამე ადგილი

მოსკოვში, კრილატსკის ფალაბაზაზე მპიერ ველოტრეკზე დამთავრდა ზამთრის პირველი ჩემპიონატი. 3 დღის მანძილზე ჩვენი ... 120 უძლიერესი ველოსიპედისტი ეცილებოდა ერთმანეთს „პირველობას ოლიმპიურ სახეობათა ველოსპორტში.

ბოლო დღეს სპრინტერთა ფინალური რბოლის დროს საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა ტულელ სერგი კოპილოვასა და კრასნოდარელ სერგი ჟორავლიოვს შორის. ჩემპიონი გახდა კოპილოვი. დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ 17 წლის თბილისელი სპორტსმენის ემზარ გელაშვილის მიერ მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილი.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲝ

„სამეფო თასზე“

„სამეფო თასის“ გათამაშებაში, რომელიც ზამთრის ევროპის ჟუნიორ ჩემპიონატად ითვლება, საბჭოთა ჩოგბურთელები მასპინძლობდნენ უნგარელებს და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

ერთეულოთა შეხვედრაში ვადიმ ბორისოვმა სძლია რობერტ მახნს (6:3, 6:4), მაგრამ ალექსანდრე ზვერევმა წააგო შანდორ ბენეკთან (4:6, 7:6, 3:6); გადამწყვეტი აღმოჩნდა წყვილთა შეხვედრა, რომელიც, სამწუხაროდ, საბჭოთა ჩოგბურთელებმა ბორისოვმა და კაკოლოამ დასამეს მახნ-პეტერის დუეტთან — 6:3, 6:7, 6:7

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

დაწინაურდნენ იუგოსლავები

ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში მიმდინარეობს, ორი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ იუგოსლავები — 8,5 ქულა და 3 გადადებული პარტია. 8 ქულა აქვს საბჭოთა ნაკრებს (მის შემადგენლობაში არიან ა. კარპოვი, ტ. პეტროსიანი, ლ. პოლუგაევსკი, ე. გელერი, ი. ბალაშოვი, ო. რომანიშინი, რ. ვაჰანიანი და გ. კასპაროვი), 7,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს ისრაელის გუნდს, 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია — ბულგარეთის ნაკრებს.

ორსავე ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა ერთნაირი ანგარიშით — 4:4 დაამთავრეს მატჩები ჯერ ინგლისელებთან, შემდეგ კი უნგრელებთან.

როგორია ქალთა „რეიტინგი?“

ფიდემ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა „რეიტინგ-ლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) 1980 წლისათვის.

1. მსოფლიო ჩემპიონი ჩიბურდანიძე — კოეფიციენტი 2400; 2. მსოფლიო ექს-ჩემპიონი გაფრინდაშვილი — 2375; 3. ალექსანდრია — 2335; 4. კუშნირი (ისრაელი) — 2330; 5-6 ახმილოვსკაია და იოსელიანი — 2315; 7. ლევიტინა — 2290; 8-9. ვერიგინა-პეტროსიანი (უნგრეთი) და ვან დერ მეიე (ჰოლანდია) — 2285; 10-11. ახმატოვოვა და ლიტინსკაია — 2280; 12. ეკშტეინი — 2260; 13. ბორიელი — 2255; 14-16. ლაზარეკიანი (იუგოსლავია), კოზლოვსკაია, რანნეკი — 2250; 17. ზატულოვსკაია — 2245; 18. კაიოანნიანი (იუგოსლავია); 19-21. ლემაჩკო (ბულგარეთი), ფატალიბეკოვა და ფიდეკი (კეფრ) — 2235.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ

პირველი მატჩი 27 თებერვალს

ჩვენი ქვეყნის შაშანდელი თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ ახალი საფეხბურთო სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს 27 თებერვალს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე. ამ დღეს დაიწყება სსრ კავშირის თასის მორიგი გათამაშება, რომლის მონაწილე უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები თავდაპირველად ქვეყნდებიან ორ პარტიებად წრეთა სისტემით მერიდიფინალში გასვლის უფლების მოსაპოვებლად. ამის შემდეგ ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი ქვეყნიერი ფესტივალი ... თბილისში 27 თებერვალს. მასში მასპინძელთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ ალმა-ათის „ყაზახეთი“, ქუთაისის „ტორპედო“ ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ხაბაროვსკი „�“.

თბილისის ქვეყნიერში მატჩები დამთავრდება 10 მარტს. მეორე-ფინალური შეხვედრა დანიშნულია 15 მარტს, მეოთხედფინალური — 30 მარტს, ნახევარფინალი — 30 მაისს, ფინალი კი 9 აგვისტოს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

წილისყრა—15 მაისს

ფეხბურთში მოსკოვის ოლიმპიადის ფინალური ტურნირის მონაწილეთა წილისყრას ფიფა მოაწყობს 15 მაისს.

თვით ტურნირი გაიმართება 20 ივლისიდან 2 აგვისტომდე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში.

მსოფლიო ჩემპიონები ევროპაში ჩამოდიან

როგორც ბუენოს-აირესში გამოცხადდა, მსოფლიო ჩემპიონი—არგენტინის ნაკრები მაისში ტურნირს გამართავს ევროპაში.

13 მაისს ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე არგენტინელები ინგლისელებს ხვდებიან, 16 ან 17 მაისს — შვედებს ან ირლანდიელებს, 21 მაისს ვენის „სპარტაკ-შტადიონზე“ — ავსტრიელებს.

ევროპაში ჩამოდიან ევროპის მსოფლიო ექს-ჩემპიონები—ფრანგიელები. 16 მარტიდან მოყოლებული, ისინი ხვდებიან იტალიის, ლუქსემბურგის, ბელგიის, შვეიცარიისა და იუგოსლავიის ნაკრებს.

ფიგურული ცეკვა

სამი ოქრო

საფრანგეთში დასრულდა იუნიორთა ევროპის პირველობა ფიგურულ ცეკვაობაში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი შრომობენ.

ჩემპიონები გახდნენ: სპორტულ წყვილებში — ლენინგრადელები ლარისა სილუზნოვა და ოლეგ მაკაროვი, ვაჟთა ერთეულებში—ყაზანელი ალექსანდრე ფადეევი, მოცეკვავე წყვილებში — მოსკოველები ელენე ბატანოვა და ალექსი სოლოვიოვი.

გოგონათა ერთეულებში უძლიერესი იყო როზალინდ სმენერხი (აშშ).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ყოჯას გზა

ბევრ ისტორიულ ძეგლს, ციხე-სიმაგრეს, ადგილ-მამულს, გზას თუ სხვა მრავალ ობიექტს ხალხისგან შერქმეული სახელი აქვს. სწორედ ამგვარად არის სახელდებული თუშეთის საცხენო გზები (ნაქერლის, კეპნის, საყორნის, ქოტლის და სხვ.) და ახალი სამანქანო გზა („ყოჯას გზა“), რომელმაც ძველი გზები შეცვალა და თუშეთი უმოკლესი მანძილით დაუკავშირა კახეთს.

ამ გზას ხალხმა იმ პიროვნების სახელი შეარქვა, ვინც მისი მშენებლობა წამოიწყო, პირველმა გაკვალა იგი და ცხოვრებაც მას შეალია. ეს იყო გიორგი (თუშურად გიგოლე) პეტრეს ძე კახოძე, სახელი ყოჯა კი ბავშვობაში წითური თმის გამო შეურქმევიათ თანასოფლელებს. იგი 1877 წელს დაიბადა თუშეთის სოფელ ჩიგლაურთაში, გლეხის ოჯახში.

ათი წლისა რომ გახდა, წიგნებზე შეუყვარებული ბიჭი ცხვარს გააყოლეს. ხუთი წლის განმავლობაში მან ორმოცდაათამდე ნამწყემსი ცხვარი მოაშენა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. 1902 წლის შემოდგომაზე, როცა ცხვარი თუშეთიდან შირაქის ზამთრის საძოვრებისაკენ მიეფიდოდათ, კავკასიონის ქედზე კახეთისკენ გადავიდნენ თუ არა, ისეთი თოვლი მოვიდა, რომ გზა ვეღარ გაიკვლიეს. გაჩნდა ზვავები, ნიაღვრები, მეწყერები, უამინდობისა და უგზოობის გამო ცხვარმა დიდად იზარალა, ყოჯას ნამწყემსი ცხვრის ნახევარზე მეტი დაეღუპა, რამაც პატარა მწყემსი ძალზე დაანაღვლიანა... მაშინ გაიფიქრა: ამ გაუვალ ხეობაში, თუშეთიდან კახეთისაკენ ბა რომ ყოფილიყო გაყვანილი, ცუდი ამინდი ვერ შეგვიჩერებდა, არც ცხვარი იზარალებდაო. ამ აზრის განხორციელება პატარა ბიჭმა მაშინვე რეალურად წარმოიდგინა...

1910 წელს ოჯახ თბილისში ჩამოვიდა და არსებულში დაიწყო დურგლად მუშაობა. აქ ჩაება იგი მუშათა არალეგალურ ორგანიზაციაში და აქვე გაიცნო ფილიპე მახარაძე, რომელიც იმ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ყოჯა ასრულებდა მათს დავალებებს — ავრცელებდა პროკლამაციებს.

თბილისში ხუთ წელიწადს დაჰყო, მსოფლიო ომის დაწყებამ შემდეგ კი თუშეთში დაბრუნდა. იმ ორი ათეული წლის განმავლობაში დიდი ისტორიული ძვრები მოხდა... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ გიგოლეს დუშეთის გზის გაყვანის იმედი ჩაუსახა და გადაწყვიტა უკეთ გასცნობოდა გზის იმ მიმართულების ადგილმდებარეობას, რომელიც ადრევე ჰქონდა ჩაფიქრებული... ამ მიზნით 1921-1923 წლებში მდინარე სტორის ხეობაში, თორღვას ციხეგალავანში ცხოვრობდა, სადაც დურგლობდა და თან მოგზაურობდა. ყოჯა ამოწმებდა ყოველ უბანს, საითაც გზას უნდა გაევლო. 1924 წლის ზამთარში გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა და თბილისს ჩამოვიდა, სადაც რესპუბლიკის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს ეწვია და თუშეთის სამანქანო გზის გაყვანის გეგმა გააცნო. ფილიპე მახარაძე თუშეთში ნამყოფი იყო და იქაური ყოფაცხოვრების პირობები იცოდა. მას მოეწონა თუშის აზრი და უთხრა, ამ საკითხს მალე განვიხილავთო.

1927 წელს თბილისიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა შეადგინეს გზის პროექტი სოფელ ლეჩროდგინი (კახეთი) სოფელ ოდლომდე (თუშეთი). მუშაობის დროს ინჟინერებს თან ახლდათ გიგოლე კახოძე, რომელსაც თუშეთიდან და კახეთიდან დაწყებული მშენებლობა 1934 წელს დაამთავრეს და გზები ერთმანეთს თორღვას ამბანოს ზევით შეუერთდა. შეიქმნა ახალი უმოკლესი საცხენო გზა, რომელიც თავიდან ბოლომდე ცხენით პირველმა ყოჯამ გაიარა.

ხალხმა იმ დღიდანვე ამ გზას „ყოჯას გზა“ უწოდა.

1940 წლის ოქტომბერში გიგოლე კახოძემ მთავრობას თხოვნა წარუდგინა, რომ საცხენო გზა სამანქანო გზად გადაეკეთებინათ. დაჰპირდნენ, მუშაობა მომავალი წლიდან დაიწყებაო.

თბილისიდან ყოჯა 15 ნოემბერს კვლავ თუშეთისაკენ გაეშურა. მთაში გზები უკვე თოვლით იყო დაფარული, ეღელტეხილზე რომ გადავიდა, ახაეტის ხორხში



ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ცუდად გახდა, მგზავრობას ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. ათი დღის შემდეგ სწორედ იქ, გზის პირას, წყაროსთან თოვლში მიწოლილი იპოვეს, თუშეთს ჩაასვენეს და სოფელ ჩიგლაურთაში დაკრძალეს.

სამანქანო გზის პროექტი 1946-1948 წლებში შეიქმნა, მისი მშენებლობა-გაფართოება კი 1949 წლიდან დაიწყო. მუშაობა 1952 წლის შემოდგომამდე გაგრძელდა. იმ ხნის განმავლობაში სამანქანო გზა ტყისთავამდე გაიყვანეს. მოსახლეობა მანქანით მხოლოდ თორღვას ამბარმდე მგზავრობდა.

გზის მშენებლობა ტყისთავიდან მხოლოდ 1972 წლიდან განახლდა და იგი კახეთის ქედის უღელტეხილამდე მივიდა, 1976 წლის ივნისიდან გზის მშენებლობა კახეთის უღელტეხილის გადაღმა „თბილისგვირაბმშენის“ მეცხრე რაზმმა დაიწყო ფიცრის ჭალის საცხვრე ხორხიდან თუშეთის ცენტრის (ომალოს) მიმართულებით და ომალოდან კახეთის მიმართულებით. ამ მშენებლობის უბანს ხელმძღვანელობს ინჟინერი ავთანდილ გაღდავაძე, რომელსაც თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ადგილობრივი საუკეთესო სპეციალისტები.

სამანქანო გზის მშენებლობის პირველი ეტაპი 1978 წლის ოქტომბერში დამთავრდა. პირველი მანქანა მივიდა თუშეთის ცენტრში, სოფელ ომალოში. ამ დიდ სახალხო გამარჯვებას ზეიმით შეხვდა იქ დამსწრე საზოგადოება, დალოცეს გზის მშენებლები და იმ საქმის პირველი წამომწყები ყოჯა-გიგოლე, რომლის დიდი ხნის ოცნება ახდა.

ახლად გაყვანილ გზაზე ამჟამად იგება ხიდები, წყალგამტარი გვირაბები, შეწყვარსწინაალმდეგ კედლები, ფართოვდება გზის ვიწრო ადგილები. ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ დასახული ღონისძიებები, რომელთა შესაბამისად თუშეთის ახლადგაყვანილი სამანქანო გზის სრული კაპიტალური მშენებლობა 1980 წელს უნდა დამთავრდეს.

გზის გახსნის საზეიმო მიტინგზე ხალხმა სიხარულთან ერთად სინანულიც გამოთქვა, რომ „ყოჯას გზა“ მხოლოდ ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში (ივნისიდან ნოემბრამდე) იმოქმედებს. დანარჩენ 7-8 თვის მანძილზე მოძრაობა შეწყდება, რადგან კახეთ-თუშეთის ქედის უღელტეხილი (ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მეტი), რომელზეც გზა გადადის, ადრე იფარება თოვლით; თანაც გზა უღელტეხილის ტერიტორიაზე ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ზვავებმა, ღვარებმა და მეწყერებმა უმეტეს ადგილს შეიძლება დააზიანოს, მის აღდგენას კი დიდი დრო დასჭირდება. ეს მკაცრი ბუნებრივი წინააღმდეგობა თავიდანვე გაითვალისწინეს და ახლა პირველ პროექტში შეიტანეს კახეთის ქედში (თორღვას ამბარს ხევიდან ჭალამდე) გვირაბის გაყვანა, რაც მძლავრი ტექნიკით შეიარაღებულ „თბილისგვირაბმშენს“ არ უნდა გაუძნელდეს. ამ ღონისძიებით გაკეთდება საშვილიშვილო საქმე, რადგან მაშინ თუშეთის სამანქანო გზა მთელი წლის განმავლობაში იმოქმედებს.

უღელტეხილის გადაღმა ახაეტის ხორხში, გზის პირას, სადაც ამ გზის მშენებლობის წამომწყები და წინამძღოლი გარდაიცვალა, მარმარილოზე წარწერილია: „გიგოლე პეტრეს ძე კახოძე“, „ყოჯა“, 1877-1940. სახალხო საქმის ენთუზიასტი, თუშეთის გზის ფუძემდებელი“.

ყოჯას შესახებ, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება სახალხო საქმეს შეალია, იმ პატარა ქვაზე კაკეთებულ მცირე წარწერის გარდა დღემდე არაფერია ნათქვამი. თუში ხალხის თხოვნაა მათ სახელოვან წინაპარს მის მიერ გაყვანილი გზის რომელიმე მონაკვეთზე ძეგლი დაედგას.

როსტომ ელანიძე.

სურათზე: გ. კახოძე.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიგურიენტგათვის — ქართული ენა, 17.35 — განცხადებები (ფ), 17.35 — შვეიცარიელთ ინგლისური ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — უფროსკლასელთათვის — „ქართული თეატრის წარსულიდან“. — ნიკო გოცირიძე (ფ.), 19.00 — „გლობუსი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „პროლოგი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.30 — განცხადებები (ფ.), 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ლენინს ვწერ წერილს“, 17.35 — მასწავლებლის საათი — ალგებრა, 18.20 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი ხალხს რჩება“.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია“ — 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — „ფილმ-სპექტაკლი, „მესამე პიროვნული“ დამთავრების შემდეგ — ახალი ამბები, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყების 75 წლისთავისათვის. „აქ კრასნაია პრესნიაზე“ დოკუმენტური ფილმი, 16.15 — მ. გორკი „სიმღერა ქორბუნტალაზე“, „სიმღერა შევარდნეზე“, 16.40 — იცოდე და ისწავლე, 17.25 — ფილესტადიული. 17.55 — მასწავლებლისათვის — მუსიკის გაკვეთილი, 19.00 — ჩვენ ბამს ვაშენებთ, 19.30 — მხიარული ნოტები, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ერთად — „ტაბილი ოჯახი ვართ, 20.30 — მხატვრული ფილმი „პროლოგი“, 22.00 — „ვრემია“, 22.35 — ფილმ-კონცერტი „ზეშთაგონების ფურცლები“. დამთავრების შემდეგ (22.40) — დღეს მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — სოფლის საათი, 21.00 — „ძალი ნებისა, პაპარეტო!“, 21.15 — მუსიკალური კიოსკი, 21.45 — „მფრინავი ბორი“. დოკუმენტური ფილმები, 21.55 — ხალხური საკრავების ხმები, ბაიანი, 22.40 — „ანგარს ასული“. მხატვრული ფილმები.

ᲗᲕᲐᲚᲘ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲠᲝᲖᲔᲚᲘ (პრემიერა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲠᲝᲖᲔᲚᲘ ᲔᲓᲐᲛᲔᲠᲣᲯᲔᲚᲘ ᲨᲐᲮᲘᲜᲝᲒᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ (პრემიერა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲛᲐᲠᲐᲜᲘ; მეგანების თეატრი — ᲑᲐᲠᲔᲗᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

25-26-27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ XIX ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ: კუბის, მონგოლეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხო